კითხვის დრო

საბავშვო გაზეთი, V–VI კლასი, N5

ადამიანის ერთგული მეგობარი

ხშირად ამბობენ, რომ ძაღლი ადამიანის მეგობარია. შეიძლება შენც გყავს ასეთი „მეგობარი“, რომელსაც უვლი: ასეირნებ, ბან, ვარცხნი, აჭმევ, ავარჯიშებ ან უბრალოდ ეთამაშები და ეფერები.

ძაღლი მოსიყვარულე და გონიერი ცხოველია. ადვილადაც იწვრთნება. ამის გამო მას უამრავი „პროფესია“ აქვს: მონადირე, მაძებარი, მწყემსი, დარაჯი, გამრთობი, დამხმარე, უსინათლოთა მეგზური, ტვირთმზიდავი, მაშველი... ძაღლზე ხშირად ამბობენ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო შინაური ცხოველია.

საინტერესოა, რატომ?

ადამიანებმა ხომ სხვა ცხოველებიც მოიშინაურეს? ცხენი, კატა, ზაზუნა და ცხვარი დიდი ხანია ჩვენ გვერდით ცხოვრობენ.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ცხოველებიდან სწორედ ძაღლი იყო პირველი, რომელთანაც ჩვენმა წინაპარმა ახლო ურთიერთობა დაამყარა. შეიძლება, სწორედ ეს ხანგრძლივი ურთიერთზეგავლენა იყოს ამ გამოცანის გასაღები.

ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, ეს ურთიერთობა 10000 წლის წინ დაიწყო მგლების ინიციატივით. იმ დროის ადამიანები ქოხებსა და გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და ისეთ დიდ ცხოველებზე ნადირობდნენ, როგორიცაა, ბიზონი და მამონტი. მგლები, დღევანდელი ძაღლების წინაპრები, მონადირეებს უკან დასდევდნენ. მათ მიერ დატოვებულ საკვების ნარჩენებს ჭამდნენ. ადამიანები მალე მიხვდნენ, რომ ნადირობისას მგლების გამოყენებაც შეიძლებოდა. ისინი ნელ-ნელა მიიჩვიეს და ერთად დაიწყეს სარჩოს მოპოვება. დროთა განმავლობაში მოშინაურებული მგლები შეიცვალნენ. ამ ცხოველის აგრესიული ბუნება შერბილდა. მათ უკვე ჰქონდათ საცხოვრებელი სახლის ან ბუნაგის სახით, რომელსაც საიმედოდ იცავდნენ. იქვე იძინებდნენ და ზრდიდნენ საკუთარ ნაშიერებს. ადამიანი კი ზრუნავდა მათზე... ასე ჩამოყალიბდა ახალი ჯიში, რომელიც უკეთ ეგუებოდა გარემოს.

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც: მგლის მოშინაურება ადამიანის ინიციატივით მოხდა. მეცნიერების ნაწილი ფიქრობს, რომ 10000 წლის წინ ადამიანმა გადაარჩია მგლის თვინიერი ლეკვები, სახლში მიიყვანა და გაზარდა, როგორც დამცველი, დარაჯი და საყვარელი შინაური ცხოველი... ალიასკაში დღესაც ცხოვრობენ მგლებთან „დაახლოებული“ ადამიანების ტომები. მათ მგლის ლეკვები სახლში მიჰყავთ და შინაური ცხოველების მსგავსად ზრდიან. რამდენიმე თაობის შემდეგ ამ ლეკვების შთამომავლები ძაღლებს ემსგავსებიან.

ეს ორი თეორია განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა ორივე აღიარებს, რომ ძაღლისა და ადამიანის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. შეიძლება სწორედ ამიტომ არის ძაღლი ასე პოპულარული შინაური ცხოველი.

თუმცა არის კიდევ რაღაც... თუ შეგიმჩნევია, ძაღლი კარგად იგებს ადამიანის „სხეულის ენას“. მას აქვს არაჩვეულებრივი უნარი, გამოიცნოს, თუ რას გააკეთებს პატრონი: საჭმელს მოუტანს, დატუქსავს, სასეირნოდ წაიყვანს... ასევე შეუძლია ყნოსვის გარეშე, მხოლოდ ადამიანის მზერის მიმართულებით, მიაგნოს დამალულ საკვებს. ცნობილია, რომ ეს უნარი ადამიანთან ევოლუციურად ისე ახლოს მდგომ ცხოველებსაც კი არ აქვთ, როგორიცაა შიმპანზე.

ძაღლები ძალიან ერთგული ცხოველები არიან. პატრონი მათთვის ლიდერია. ისინი, უმეტესად, ადამიანზე არიან დამოკიდებული, რადგან ის აძლევს საკვებს, თავშესაფარს... ამიტომ გასაგებია, რომ მას თავის ლიდერად აღიარებენ.



გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

ძაღლები გრძნობენ ადამიანის ემოციურ მდგომარეობას და, შესაბამისად, იქცევიან. მაგალითად, როცა პატრონი ცუდ ხასიათზეა, ისინიც მოწყენილები არიან. მოკლედ რომ ვთქვათ, მათ შეუძლიათ სიყვარულის გამოხატვა უსიტყვოდ. ამის გამო ძაღლი ხშირად „ოჯახის სრულფასოვანი წევრი“ ხდება. ადამიანები არ უყურებენ მას, როგორც უცხოს. პატრონების, დაახლოებით, 40% თავის ძაღლს ოჯახის წევრთან აიგივებს.

იაპონელმა მეცნიერებმა ადამიანისა და ძაღლის დამოკიდებულების ახსნა სცადეს. მიჰო ნაგასავამ კოლეგებთან ერთად საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა. ისინი იკვლევდნენ, რატომ აქვთ ძაღლსა და ადამიანს ასეთი ახლო ურთიერთობა. მათ დაადგინეს, რომ მთავარი ამ ურთიერთობისას ყოფილა ე. წ. სიყვარულის ჰორმონი, მოფერების ქიმიური ნივთიერება – ოქსიტოცინი. ეს ნივთიერება არის ადამიანებისა და ცხოველების სისხლში. ოქსიტოცინის დონის მომატება აძლიერებს სიყვარულს, ნდობას, ამცირებს შიშს, ამშვიდებს...

მეცნიერებმა წინასწარ გაზომეს ოქსიტოცინის დონე ძაღლებსა და ადამიანებში. შემდეგ ისინი ერთად მოათავსეს ოთახებში. ადამიანები ძაღლებს ეფერებოდნენ, ესაუბრებოდნენ და თვალებში უყურებდნენ. მეცნიერები დროდადრო წყვეტდნენ ექსპერიმენტს და ოქსიტოცინის დონეს ამოწმებდნენ.

მათ აღმოაჩინეს, რომ ერთმანეთთან ურთიერთობის შემდეგ ადამიანებსა და ძაღლებში მოიმატა ოქსიტოცინის დონემ. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი მათ ჰქონდათ, რომლებიც დიდხანს უმზერდნენ ერთმანეთს თვალებში, ყოველგვარი მოფერებისა და საუბრის გარეშე...

მოკლედ, თუ უკვე გყავს ძაღლი, რომელსაც უვლი, ასეირნებ, ბან, ვარცხნი, აჭმევ, ავარჯიშებ ან ეთამაშები, ხშირად ჩახედე თვალებში. ის კიდევ უფრო დაგიმეგობრდება.

ჰაჩიკო – უანგარო სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლო

ჰაჩის ფოტო

იაპონურ ძაღლს „ჰაჩის“ („ჰაჩიკოს“), როგორც ერთგულების სიმბოლოს, იაპონიაში ძეგლი დაუდგეს. მასზე დაწერეს მოთხრობები, დადგეს სამი სხვადასხვა ქანდაკება, გადაიღეს ფილმები: „ჰაჩიკოს ამბავი“ (1987 წ.) და „ჰაჩიკო – ყველაზე ერთგული მეგობარი“ (2009 წ.).

ჰაჩის ქანდაკება საბუიას სადგურთან

ჰაჩიკო დაიბადა 1923 წლის 10 ნოემბერს იაპონიაში, ერთ-ერთ ფერმაში. როცა ჯერ კიდევ ლეკვი იყო, ფერმერმა ის თავის ძველ მასწავლებელს, პროფესორ ჰიდესაბურო უენოს აჩუქა. პროფესორი ტოკიოს უნივერსიტეტში მუშაობდა. მას ძალიან უყვარდა ძაღლები. პროფესორმა ლეკვს „ჰაჩი“ დაარქვა, რაც იაპონურად „რვას“ ნიშნავს. ჰაჩი პროფესორისთვის მერვე ძაღლი იყო. ის ყველგან და ყოველთვის თან დაჰყვებოდა თავის პატრონს. პროფესორი ყოველდღე დადიოდა სამსახურში. ძაღლი მას შიბუიას სადგურის შესასვლელამდე აცილებდა. შემდეგ შინ ბრუნდებოდა და დღის 3 საათისათვის ისევ სადგურთან ხვდებოდა.

1925 წლის 21 მაისს პროფესორს უნივერსიტეტში ყოფნის დროს ინფარქტი დაემართა. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ჰაჩი მაშინ 18 თვის იყო. ის მთელი დღე ამაოდ ელოდებოდა საყვარელ პატრონს სადგურთან. იმ დღიდან მოყოლებული, ჰაჩი ყოველდღე მიდიოდა ჩვეულ ადგილას მის დასახვედრად.

ჰიდესაბუროს ნათესავები დიდხანს ცდილობდნენ ძაღლის შინ წაყვანას, მაგრამ იგი მაინც სადგურზე ბრუნდებოდა. ჰაჩის ადგილობრივი მოვაჭრეები და რკინიგზის მუშები აძლევდნენ წყალსა და საჭმელს.

ძაღლმა მალე გაითქვა სახელი მთელ იაპონიაში. 1932 წელს ერთ-ერთ ცნობილ გაზეთში დაიბეჭდა სტატია – „ერთგული ძაღლი ისევ ისე ერთგულად ელოდება თავისი პატრონის დაბრუნებას, რომელიც 7 წლის წინ გარდაიცვალა“. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შიბუიას სადგურთან ჰაჩის მნახველების ნაკადი არ წყდებოდა. ყველას სურდა, საკუთარი თვალით ენახა ერთგულებით განთქმული ძაღლი. 1934 წლის 21 აპრილს სადგურზე მისი ქანდაკებაც დადგეს. ამ დროს ჰაჩი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ჰაჩი შიბუიას სადგურზე 9 წლის განმავლობაში დადიოდა. 1935 წლის 8 მარტს ის მკვდარი იპოვეს ქუჩაში. ეს ამბავი მალე მოედო მთელ ქვეყანას. იაპონიაში გლოვის დღე გამოცხადდა. ჰაჩის ფიტული დღემდე ინახება ტოკიოს ნაციონალურ მუზეუმში.

კითხვის-დრო

უცნაური პატენტები

შენ ახლა სკოლაში სწავლობ და მუდმივად რაღაცას ქმნი: წერ, ხატავ, ინსტრუმენტზე უკრავ ან რაიმე ახალ ნივთს იგონებ... ყველა სიახლე, რომელსაც ადამიანი ქმნის, მისი ფიქრისა და შემოქმედების შედეგია, ანუ მისი ინტელექტუალური საკუთრებაა. მომავალში შეგიძლია ნებისმიერი პროფესია შეარჩიო – გახდე მხატვარი, მწერალი, მზარეული, რეჟისორი, ფოტოგრაფი, მსახიობი, მომღერალი... რომელ საქმესაც არ უნდა მოჰკიდო ხელი, სასურველია, იცოდე, როგორ დაიცვა შენი თუ სხვისი ინტელექტუალური საკუთრება, ვინმემ რომ არ მიითვისოს.

ინტელექტუალური საკუთრება არის ლიტერატურის, ხელოვნების ან სამეცნიერო ნამუშევარი; მსახიობის ან შემსრულებლის გამოსვლა, ტელე-რადიო გადაცემა; გამოგონება ნებისმიერ სფეროში; მეცნიერული აღმოჩენა და სხვ.

ინტელექტუალური საკუთრება ისეთივე ქონებაა, როგორიც – სახლი, მანქანა, მიწის ნაკვეთი... მას კანონი იცავს. მაგალითად, გამოცემულ წიგნზე საავტორო უფლება ვრცელდება. საავტორო უფლება არ აფასებს, რამდენად კარგია ან ცუდი ნაწარმოები. ის მხოლოდ ავტორის საკუთრებას იცავს. თუ დაწერ წიგნს, სხვამ მისი გამოქვეყნებისთვის ფული უნდა გადაგიხადოს.

საავტორო უფლებების განსაკუთრებული სახეობაა პატენტი. ეს არის სპეციალური მოწმობა, რომელიც გამომგონებელს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს. შეგიძლია, დააპატენტო შენ მიერ შექმნილი ნივთი. თუ სხვას ამ ნივთით სარგებლობა ან მისი დამზადება მოუნდება, პატენტის შეძენა მოუწევს. სწორედ ასე უნდა მოიქცე, თუ გსურს სხვისი გამოგონებით ისარგებლო. ხშირად პატენტი ძალიან უცნაურ გამოგონებას ეძლევა. ქვემოთ სწორედ ასეთი უცნაური პატენტებია მოყვანილი.

© *– ეს საავტორო უფლების დამცავი ნიშანია. თუ სადმე ეს ნიშანი შეგხვდება, იცოდე, რომ მოცემული ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით მითვისება კანონის დარღვევად ითვლება.*

სპეციალური ზურგჩანთა კატებისთვის

თუ გყავს კატა და გინდა მასთან ერთად იმგზავრო, ნუ დარდობ, გამოსავალი არსებობს! 2004 წელს გამოიგონეს სპეციალური ზურგჩანთა კატების გადასაყვანად. არ ვიცი რამდენად კომფორტულია თვითონ კატისთვის ეს ზურგჩანთა. თუმცა მისი პატრონისა და მგზავრების ინტერესები გათვალისწინებულია.

ქუდი – „გობი“



ეს უცნაური მოწყობილობა ჩიტების მოყვარულებისთვისაა. ის ეხმარება ადამიანს, ახლო მანძილიდან დაინახოს, როგორ კენკავენ ჩიტები საკვებს. ამისათვის პატარა ჯამებში უნდა ჩაყარო საკენკი. შემდეგ „გობი“ თავზე შემოიდო და მოთმინებით დაელოდო, როდის მოისურვებენ ფრინველები სადილობას.

დამამშვიდებელი მაყუჩი



ეს ჩვეულებრივი ჭიქა არ გეგონოს. სინამდვილეში ძალიან საჭირო ნივთია. ის „იჭერს“ ყველა ბგერას, რომელსაც ადამიანი გამოსცემს. მაგალითად, თუ ფეხზე დაგაბიჯეს, იმის ნაცვლად, რომ იბუზღუნო, აიღე მაყუჩი და ჩასძახე, რაც მოგესურვება! როგორც მისი შემქმნელი ირწმუნება, „ჭიქა“ შენ მიერ ნათქვამ ყველა სიტყვას „გადაყლაპავს“.

„ხელთათმანი“ – ცეკვის მასწავლებელი



თუ ცეკვა არ გეხერხება, ნუ აღელდები! უკვე გამოჩნდა საშუალება, რომელიც დაგეხმარება, დაძლიო ეს სირთულე. ეს ცეკვის მასწავლებელი „ხელთათმანია“. წამოიცვი ისინი ხელებზე, მოუსმინე მუსიკას და მერე მიჰყევი „ხელთათმანებს“. ისინი თვითონ აგაცეკვებენ!

აქ უცნაური პატენტების მხოლოდ ნაწილია მოცემული. ადამიანების ფანტაზიას კი რა ამოწურავს! ასეთი სპეციალური მოწმობა კიდევ არაერთ უცნაურ იდეას აქვს მინიჭებული.

კითხვის-დრო

ამბავი ნაღვლიანი კლოუნისა

გურამ პეტრიაშვილი

ერთხელ პატარა ქალაქს მეტად უცნაური სენი შეეყარა:

ქალაქის მცხოვრებთ ჩემოდნები შეუყვარდათ ძალიან.

სულ ჩემოდნებს დასტრიალებდა მათი ფიქრები.

ბინიდან გასვლისას ჩემოდნით ხელში დიდ სარკესთან მივიდოდნენ და ჩაიხედავდნენ. მიტრიალდებოდნენ, მოტრიალდებოდნენ... არ გეგონოთ, თავის სახეს აცქერდებოდნენ, არა, ამოწმებდნენ, ჩემოდანი ხომ ლამაზად გამოიყურებაო. მერე ასწევდნენ თავს და ამაყად გადიოდნენ ქუჩაში.

ქუჩაში ყველას ჩემოდანი ეკავა ხელში.

მძიმე ჩემოდანს დაათრევდა დიდი თუ პატარა...

უფრო და უფრო უყვარდებოდათ ჩემოდნები...

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალაქის მთავარ მოედანზე ჩემოდნის გამომგონებელს ძეგლი დაუდგეს. ძეგლის კვარცხლბეკი ჩემოდნის ფორმის იყო. გამომგონებელსაც დიდი ჩემოდანი ეკავა ხელში.

ამ ძეგლს რომ გაუვლიდნენ გვერდზე მოქალაქენი, ქუდს მოიხდიდნენ ხოლმე მოწიწებით...

მიათრევდნენ მძიმე ჩემოდანს...

რომ შეამჩნევდნენ, დამტვერილიაო, შევიდოდნენ სკვერში, ჩამოსხდებოდნენ სკამზე, ჩემოდანს მუხლებზე დაიდებდნენ, ჯიბიდან ხავერდის ნაჭერს ამოიღებდნენ და აპრიალებდნენ და აპრიალებდნენ ჩემოდანს.

გააპრიალებდნენ კარგად და მხოლოდ მერე განაგრძობდნენ გზას.

ის კი არადა, თეატრშიც თავისი ჩემოდანი ედოთ მუხლებზე და ისე უცქეროდნენ სპექტაკლს. თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა მსახიობებიც ჩემოდნით ხელში ამბობდნენ მონოლოგებს და თვით ტანწერწეტა ბალერინებიც ჩემოდნებიანად დახტოდნენ სცენაზე. მართალია, ამის გამო ისე მსუბუქად ვეღარ ტრიალებდნენ თითის წვერებზე, მაგრამ ეს არავის ანაღვლებდა.

მთავარი იყო ჩემოდანი...

მხოლოდ ერთი კაცი დადიოდა უჩემოდნოდ. ხელები ჯიბეში ჩაეწყო, პალტოს საყელო აეწია და ნაღვლიანი მიჰყვებოდა ქუჩას.

ეს კაცი კლოუნი იყო.

კლოუნი ცირკიდან გამოაგდეს. ჯერ ერთი იმიტომ, ჩემოდანს არ ატარებდა, მეორეც იმიტომ, რომ მოქალაქეებს სიცილი აღარ უყვარდათ. უყურებდა კლოუნი გამვლელებს და ამჩნევდა, ისე უცქეროდნენ ერთმანეთის ჩემოდნებს, სულ იმას ფიქრობდნენ, იმის ჩემოდანი სჯობია, თუ ჩემიო.

სულ მოღუშულები იყვნენ.

ალბათ, ძნელია იღიმოდე, როცა სულ იმას ფიქრობ, ნეტა ვისი ჩემოდანი ჯობია ან რა უწყვია სხვას იმ ჩემოდანშიო.

– ეჰ, – ამოიოხრებდა კლოუნი და ჩაჰკიდებდა თავს...

კლოუნის უჩემოდნოდ სიარული არ მოსწონდათ მოქალაქეებს.

ჯერ იყო და წარბშეკრული უცქეროდნენ, მერე და მერე გაგულისდნენ და ქუჩაში მიმავალს ბრაზით მხარსაც გაჰკრავდნენ ხოლმე.

ერთ დღეს კი უმიზეზოდ ჩხუბიც კი აუტეხეს და ძლივს გაასწრო. კიდევ კარგი, რომ მათ მძიმე ჩემოდნები ეჭირათ ხელში და სწრაფად ვერ მორბოდნენ, თორემ ცუდი დღე დაადგებოდა ნამდვილად.

მას შემდეგ აღარ გამოდიოდა კლოუნი ქუჩაში.

იჯდა ფანჯარასთან და გაჰყურებდა ქუჩას ნაღვლიანი.

ხედავდა, როგორ დამახინჯებულიყვნენ მოქალაქეები მძიმე ჩემოდნის ტარებით. ტანი გაზნექოდათ და დაბრეცილიყვნენ. ამას თვითონაც ამჩნევდნენ და, ალბათ, ორი ჩემოდნის ტარებას შემოიღებდნენ წონასწორობისთვის. მაგრამ საქმე ისაა, უნდოდათ ცალი ხელი თავისუფალი ჰქონოდათ, რათა ქუდი მოეხადათ, ჩემოდნის გამომგონებლის ძეგლს რომ გაუვლიდნენ გვერდზე...

უყურებდა საგონებელში ჩავარდნილი კლოუნი მოქალაქეებს და აღარ იცოდა, რა ექნა.

ბოლოს რაღაც მოიფიქრა და თქვა: თუ უშველის, ეს უშველისო, თუ არადა დაიღუპება ქალაქიო...

მეორე დილით დიდი აფიშები იყო გაკრული მთელ ქალაქში.

აფიშაზე ეხატა კლოუნი და კლოუნს ხელში ვეება ჩემოდანი ეჭირა.

ეს ძალიან მოეწონათ მოქალაქეებს, მოსულა ჭკუაზეო, გაიფიქრეს... და საღამოს უამრავი მაყურებელი გაეშურა ცირკისაკენ.

აუყვნენ კიბეებს, მიათრევდნენ თავიანთ მძიმე ჩემოდნებს...

მერე დაიწყო საცირკო წარმოდგენა და სიამოვნებით უცქეროდნენ მაყურებლები ათასჯერ ნანახს: როგორ ეწეოდა ვიღაც ღონიერი კაცი ას დიდ ჩემოდანს ერთად. ჟონგლიორი პატარა ჩემოდნებს ისროდა ჰაერში. აკრობატები ჩემოდნებზე ხტუნავდნენ და ილუზიონისტსაც თავისი შავი ცილინდრიდან ჩემოდნები ამოჰქონდა დაუსრულებლივ. განსაკუთრებით ის მოსწონდათ, რომ ცხოველები ჩემოდნებით დადიოდნენ არენაზე. სპილოებს ვეება ჩემოდნებისთვის ჩაევლოთ ხორთუმი, ბაჭიები კი პაწია ჩემოდნებს მიაქანებდნენ სკუპ-სკუპით...

ბოლოს დაცარიელდა არენა და მიყუჩდა ორკესტრი.

უცებ ჩაბნელდა ცირკი და მხოლოდ შუქის ერთი კონა მიადგა არენაზე შემოსასვლელ ფარდას...

მერე გაიხსნა ფარდა და შემოვიდა კლოუნი...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კითხვის-დრო



ჟირაფი, რომელიც იმპერატორს ჩაუყვანეს

მემკვიდრეების გადმოცემით, ჩჯენ ჰე გარდაიცვალა 1433 წელს, მეშვიდე მგზავრობისას, ჩინეთისკენ მიმავალი. მისი სხეული ზღვას მიაბარეს. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ჩჟენ ჰე 1435 წელს გარდაიცვალა 65 წლის ასაკში. მისი ბოლო მოგზაურობის შემდეგ ახალი ექსპედიციები აღარ გამართულა.

ჩჟენ ჰეს ექსპედიციებმა ხელი შეუწყო ჩინეთსა და აფრიკა-აზიის ქვეყნებს შორის კულტურული და სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას. ჩინელმა მეზღვაურებმა შექმნეს მონახულებული ქალაქებისა და ქვეყნების დაწვრილებითი გეგმები. ჩჟენ ჰეს ექსპედიციები ევროპელთა დიდი მოგზაურობების დაწყებამდე სულ მცირე ნახევარი საუკუნით ადრე გაიმართა. ჩინელთა მარშრუტები შემდგომში გამოიყენეს ევროპელმა მეზღვაურებმა, რომლებიც ჩჟენ ჰეს მოგზაურობის პერიოდში კეთილი იმედის კონცხამდეც კი არ იყვნენ მისული, ხოლო აფრიკის აღმოსავლეთი სანაპიროს შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ გააჩნდათ.

ჩჟენ ჰეს გემებს სხვადასხვა ჩინური საქონელი გაჰქონდათ უცხო ქვეყნებში. ჩინეთში კი შეიტანეს ახალი პროდუქტები, ტექნოლოგიები, საშენი მასალა, ეგზოტიკური ნაკეთობები. სწორედ ამ პერიოდში გადაიქცნენ აფრიკული ჟირაფები და ზებრები ჩინეთის საიმპერატორო კარის ბაღის დეკორატიულ ცხოველებად. ჩჟენ ჰეს ქვეშევრდომებმა დაწერეს წიგნები უცხო ქვეყნების შესახებ, რითაც საგრძნობლად გაამდიდრეს ჩინელი ხალხის ცოდნა სხვა ქვეყნების შესახებ.

ამ ფურცლით შეგიძლია წიგნი გაკეთო, თანაც ძალიან სწრაფად. ამისათვის ფურცელი გაზეთიდან უნდა აიღო ამოხით და წყვეტილ ხაზზე შუაზე გაკეცო.

საინტერესო ფაქტები ჩჟენ ჰეს შესახებ

- ჩჟენ ჰეს სხვა სახელებიც ჰქონდა. ერთ-ერთია ჩენგ ჰო. ასევე ერქვა სან ბაო, რაც სამ ძვირფას ქვას ნიშნავს.
- ჩჟენ ჰეს ფლოტის გემები უფრო გრძელი და ფართო იყო, ვიდრე ევროპელ მოგზაურთა გემები. მისი ყველაზე მსხვილი გემები ოდესმე არსებულ ხის ხომალდებს შორის ყველაზე დიდი ზომისაა.
- მიიჩნევენ, რომ ჩჟენ ჰეს გემებმა სამხრეთ აფრიკას შემოუარა და იმედის კონცხთან მივიდა. შესაძლებელია, ავსტრალიაშიც კი ჩავიდნენ.
- ჩჟენ ჰეს მოგზაურობა 87 წლით უფრო ადრე შედგა, ვიდრე კოლუმბისა და 116 წლით უფრო ადრე, ვიდრე მაგელანისა.



www.chemiskola.ge
USAID სოფლის ეკონომიკურ ზრდის პროგრამა

- **მოღვაწეობა:** მოგზაური და ფლოტის მეთაური.
- **დაბადების თარიღი და ადგილი:** 1371 წელი, იუანის პროვინცია, ჩინეთი.
- **გარდაცვალების თარიღი:** 1433 წელი.
- **რით გაითქვა სახელი?** მოგზაურობები ინდოეთში, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ჩჟენ ჰე იყო გამოჩენილი ჩინელი მოგზაური და ფლოტის ადმირალი, რომელმაც შეაგროვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩინელებისთვის მანამდე უცნობი ქვეყნების შესახებ. მისი მოგზაურობები არ ისახავდა მიზნად აღმოჩენილი მიწებისა და ხალხების დაპყრობას. პირიქით, მათ გაცნობასა და დაახლოებას ემსახურებოდა. ამით ჩჟენ ჰეს ექსპედიციებს განასხვავებენ XVI-XIX საუკუნეების ევროპელი კოლონიზატორების დაპყრობითი ექსპედიციებისგან. მათ განიხილავენ, როგორც მეზობლებისადმი ჩინეთის მშვიდობიანი პოლიტიკის მაგალითს. თანამედროვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩჟენ ჰე ითვლება ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ პიროვნებად.

ჩჟენ ჰემ შვიდი მსხვილი ექსპედიცია განახორციელა და საფუძველი ჩაუყარა ჩინეთის ახალ სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებს.

დაბადება და ბავშვობის წლები

დაბადებისას მომავალ მეზღვაურს მა ჰე დაარქვეს. ის 1371 წელს დაიბადა ჩინეთში, იუნიანის პროვინციაში. მისი წინაპრები ჩინეთში გადასახლებული არაბი მუსლიმები იყვნენ. მამა და ბაბუა მონღოლთა იუანის დინასტიას მართავდნენ. მა ჰეს მშობლების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ოჯახში ექვსი ბავშვი იზრდებოდა: ოთხი გოგონა და ორი ვაჟი.

1378 წელს, როცა მა ჰე ჯერ კიდევ პატარა იყო, მისი პროვინცია მინის დინასტიამ დაიპყრო. მა ჰე ჩინელმა ჯარისკაცებმა შეიპყრეს და ტყვედ მიჰგვარეს იმპერატორის ერთ-ერთ ვაჟს, უფლისწულ ჩჟუ დის.

მა ჰე უფლისწულს კარგად ემსახურებოდა და მსახურის რანგში აიყვანეს. მალე დააწინაურეს კიდეც და სამეფო კარზე ოფიციალური თანამდებობაც მისცეს. ცოტა ხანში მა ჰე უფლისწულის პირადი მრჩეველი გახდა. პატივისცემის ნიშნად უფლისწულმა მა ჰეს სახელიც შეუცვალა და ჩჟენ ჰე დაარქვა. მოგვიანებით უფლისწული ჩინეთის იმპერატორი გახდა. მას სურდა, მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა ჩინეთის იმპერიის დიდება და ძალმოსილება. სხვა ქვეყნებთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაც ჰქონდა განზრახული. მან ჩჟენ ჰე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში იმპერიის მთავარ წარმომადგენლად დანიშნა, ფლოტის შექმნა და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში მოგზაურობა დაავალა. ის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 1405-1433 წლებში გაგზავნილი თითქმის ყველა ჩინური ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნა.

ჩჟენ ჰეს ფლოტი

„საგანძურის ხომალდის“ მოდელი ნანკინში, ზღვაოსნობის პარკში

ჩჟენ ჰე უზარმაზარი ფლოტის ადმირალი იყო. მისი პირველი მოგზაურობა 200-ზე მეტი ხომალდისა და 28000 მეზღვაურისგან შედგებოდა. ზოგიერთი დიდი საბარგო გემი იმდენად დიდი იყო, რომ ფეხბურთის მოედანს აღემატებოდა: სიგრძით 120 მეტრს აღწევდა, სიგანით კი — 55 მ-ს. გემებს შორის ზოგიერთს ნივთები გადაჰქონდა, ზოგს ცხენები და ჯარისკაცები გადაჰყავდა, ზოგიერთი კი, საგანგებოდ, დასალევი წყლის გადასაზიდად იყო განკუთვნილი. წარმოიდგინე, როგორ განცვიფრდებოდნენ ადამიანები იმ ქალაქებში, რომლებსაც ეს ფლოტი მიადგებოდა.

პირველი მოგზაურობა

ჩჟენ ჰეს პირველი მოგზაურობა 1405-1407 წლებში გაიმართა. ის ინდოეთის ბევრ ქალაქს ესტუმრა. თან ვაჭრობდა და თან დიპლომატიურ კავშირებს ამყარებდა. მეკობრეებთანაც მოუწია შეტაკება. მან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეკობრეთა მეთაური დაატყვევა და ჩინეთში ჩაიყვანა.

მომდევნო ექვსი მოგზაურობის დროს ჩჟენ ჰეს ხელმძღვანელობით ფლოტმა მოინახულა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და ინდოეთის ოკეანის 56 ქვეყანა და მსხვილი ქალაქი. ჩჟენ ჰეს პირველმა ექსპედიციამ უდიდეს ინდურ პორტს — კალკუტას მიაღწია. დაახლოებით, ასეთივე იყო მეორე (1407-1409) და მესამე (1409-1411) ექსპედიციის მარშრუტები. მეოთხე (1413-1415), მეხუთე (1417-1419), მეექვსე (1421-1422) და მეშვიდე (1431-1433) ექსპედიციებმა მიაღწიეს კუნძულ ორმუზამდე და აფრიკის სანაპირომდე თანამედროვე სომალის ტერიტორიაზე. მეზღვაურები შევიდნენ წითელ ზღვაშიც. ისინი აკეთებდნენ ჩანაწერებს, ადგენდნენ რუკებს. ინიშნავდნენ გასვლის დროს, დასვენების ადგილებს, კუნძულებისა და რიფების მდებარეობას. მეზღვაურებმა ჩაიწერეს მრავალი სახელმწიფოსა და ქალაქის აღწერა, კლიმატის თავისებურებები, ადგილობრივი ლეგენდები. ჩჟენ ჰემ უცხოელი დიპლომატებიც ჩაიყვანა ჩინეთში, რათა მოლაპარაკებები გაემართათ და ახალი ურთიერთობა დაეწყოთ.

ეს შეიძლება დედამიწიდან 400 კილომეტრის დაშორებით

შეიძლება, შენც გიფიქრია სკაფანდრის მორგებასა და კოსმოსის საოცარი სამყაროს ნახვაზე. უწონადობის მდგომარეობა და ხომალდის კაბინაში ფარფატიც არ უნდა იყოს ცუდი! თუმცა კოსმოსში მოგზაურობა თუ იქ ცხოვრება ბევრ სირთულესთანაც არის დაკავშირებული. კოსმონავტებს უამრავი ისეთი პრობლემის გადაჭრა უხდებათ, რისი წარმოდგენაც აქ, დედამიწაზე ძნელია.

საერთაშორისო კოსმოსური სადგური

ჩვენგან 330-410 კმ-ის დაშორებით საკუთარ ორბიტაზე მოძრაობს საერთაშორისო კოსმოსური სადგური. სადგურზე კოსმონავტები 2000 წლის 1 ნოემბრიდან ცხოვრობენ. ეკიპაჟის წევრები ყოველ ექვს თვეში ერთხელ იცვლებიან. უფრო მეტ ხანს დარჩენა მათი ჯანმრთელობისთვის მავნებელია.

ალბათ, იცი, რაც უფრო შორდები დედამიწას, მისი მიზიდულობის ძალა მცირდება. ამიტომ კოსმოსში სხეულები „წონას კარგავენ“. ადამიანები, ნივთები, სითხე... ყველაფერი „ჰაერში“ დაფრინავს. ამის გამო ბევრი ისეთი ჩვეული საქმიანობა, როგორიცაა სიარული, ძილი, კვება და სხვა კოსმოსში არც ისე ადვილია.



საერთაშორისო კოსმოსური სადგური

კოსმონავტების კვება

კაბინაში „მოფარფატე“ საკვების ნარჩენებმა შეიძლება ხომალდი დააზიანოს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორბიტაზე თითოეული კილოგრამის გაგზავნა ათასობით დოლარი ჯდება. ამიტომ საკვებიდან წყალს ტუმბავენ, შემდეგ კი პატარა ზომის ბურთულების, გრანულების, ფორმას აძლევენ და აკონსერვებენ ან ალუმინის ფოლგაში ფუთავენ ულუფებად. ასეთი საკვები თავის თვისებებსა და გემოს არ კარგავს, მხოლოდ მასა მცირდება. მას ჭამის წინ წყალი უნდა დაუმატო. ბევრი სასმელი ასევე გრანულების სახითაა. გამონაკლისია მარილი და პილპილი. ისინი, პირიქით, თხევად მდგომარეობაში ინახება.

სამოსი

გგონია, რომ სკაფანდრი კოსმონავტების ძირითადი „სამოსია“? არა. ამ სპეციალურ კოსტიუმს ისინი მხოლოდ სტარტის, დაშვების ან ღია კოსმოსში გასვლის დროს იცვამენ. სკაფანდრი მათ ამარაგებს საჭირო ჟანგბადით, იცავს სიცხის, სიცივისა და რადიაციისგან. თუმცა ძალიან მძიმეა.

„უწონადობა“ რომ არა, ადამიანი საერთოდ ვერ შეძლებდა ასეთი კოსტიუმით მოძრაობას.

კაბინაში კოსმონავტებს ბამბის კომბინიზონი და მაისური აცვიათ. სადგურზე ტანსაცმლის გარეცხვა შეუძლებელია. ამიტომ ნახმარ სამოსს სხვა ნარჩენებთან ერთად საგანგებო ხომალდებში ათავსებენ, შემდეგ კი ატმოსფეროში წვავენ. ფეხსაცმელს მხოლოდ ვარჯიშისას ხმარობენ. სხვა დროს სპეციალური წინდები აცვიათ.

ძილი

ჩვენი სხეული ჰორიზონტალურ მდგომარეობაში წოლასა და ძილს არის მიჩვეული. კოსმონავტებს კი დაძინება ვერტიკალურად, სპეციალურ საძილე ტომრებში უწევთ. ადგილის დაზოგვის მიზნით, ტომრები ხომალდის გვერდითა პანელებზეა მიმაგრებული და ქამრებით იკვრება.

საერთაშორისო კოსმოსური ხომალდის ორბიტაზე განთიადი 24 საათში 16-ჯერ დგება, რადგან მზე ყოველ 90 წთ-ში „ამოდის“ და „ჩადის“. ამიტომ კოსმონავტები ძილის დროს თვალის ასახვევ სპეციალურ ნიღაბს იკეთებენ. ის სინათლეს ახშობს და დაძინებას აადვილებს.

ვარჯიში

უწონადობის მდგომარეობა და უმოძრაობა კოსმონავტების კუნთოვან სისტემას აზიანებს. ამიტომ სადგურზე სპეციალური ტრენაჟორებია მოწყობილი, სადაც ისინი დღეში რამდენიმე საათს ვარჯიშობენ. თუმცა დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ სიარული მაინც უჭირთ. ჩვეული ფორმის დაბრუნებას რამდენიმე თვე სჭირდება.

კითხვის-დრო

ხილის სალათა ნაყინით

საჭირო ინგრედიენტები:

- ვაშლი – 2 ცალი
- ბანანი – 2 ცალი
- ფორთოხალი –2 ცალი
- მარწყვი – 250 გრამი
- ხილის ლიქიორი – 50 გრამი
- ნაყინი – 500 გრამი (ვანილის ან შოკოლადის, სურვილის მიხედვით)
- მურაბის სიროფი – 100 გრამი
- შოკოლადის ფილა – 1 ცალი
- წვრილად დაჭრილი მოხალული ნიგოზი ან თხილი – 3-4 სუფრის კოვზი

მოამზადების წესი:

აიღე ორი საშუალო ზომის ვაშლი. გულმოდგინედ გარეცხე და გათალე. შემდეგ გამოაცალე თესლები და დაჭერი კუბიკებად.

გაფცქვენი ორი ბანანი და ისიც დაჭერი კუბიკებად.

აიღე ორი საშუალო ზომის ფორთოხალი. გარეცხე. შემოაცალე კანი და ასევე კუბიკებად დაჭერი.

მარწყვი გარეცხე. ფრთხილად მოაცილე ყუნწები და თითოეული შუაზე გაჭერი. სასურველია, მარწყვი მსხვილი იყოს. ასე უფრო ადვილად დაჭრი.

თუ გინდა, ზემოთ დასახელებული ნებისმიერი ხილი სხვით ჩაანაცვლე.

დაჭრილი ხილი მოათავსე ღრმა ჭურჭელში და ფრთხილად აურიე.

შემდეგ მოასხი 3-4 სუფრის კოვზი ხილის ლიქიორი და 1-2 საათით შედგი მაცივარში გასაცივებლად.

დაიმახსოვრე: ხილი საყინულეში არ შედგა, თორემ გაიყინება და არომატს დაკარგავს.

ვიდრე ხილი გაცივდება, შოკოლადის ფილა დატეხე პატარა ზომის ნატეხებად და ჩაყარე ემალის ჯამში. შემდეგ ჯამი ნელ ცეცხლზე დადგი, რომ შოკოლადი გადნეს.

მაცივრიდან გამოიღე ხილი და გაანაწილე ულუფებად პატარა ზომის მინის ჯამებში.

თითოეულ ულუფას ზემოდან დაადე ერთი სუფრის კოვზი ნაყინი.

ნაყინის ზემოდან ზოგს მოასხი მურაბის წვენი. (უმჯობესია, მურაბა მოწითალო ფერის იყოს. ასე ხილის სალათა უფრო ლამაზი გამოგივა). ზოგს კი მოასხი გამდნარი შოკოლადი.

სულ ბოლოს მოაყარე მოხალული და წვრილად დაჭრილი ნიგოზი ან თხილი.

ხილის სალათა მზადაა.

გემრიელად მიირთვი!



კითხვის-დრო